

1. შპს „გონიო 2003“ ს/კ 236034858 - ფინანსური ანგარიშგება 2018 წ

შპს „გონიო 2003“

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - (აქტივები = ვალდებულებები + კაპიტალი)	2
საზოგადოების საქმიანობის შედეგები (მოგება-ზარალის ანგარიშგება)	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-12

ფინანსური მდგომარეობის უწყისი - ფორმა N1

	12/31/2018	12/31/2017
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	55406	74728
არამატერიალური აქტივი	1493	1493
ბიოლოგიური აქტივი		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		
	56899	76221
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	253605	113743
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	34289	235003
მარაგები	29345	23496
სხვა მიმდინარე აქტივები	73288 -	18038 -
	390527	390280
მთლიანი აქტივები	447426	466501
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	147550	147550
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	277238	282861
რეზერვები	5753 -	5753 -
	430541	436164
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	-	-
ანარიცხები		
გადავადებული/გამოუმუშავებელი შემოსავალი		-
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14434	10651
საგადასახადო ვალდებულებები	2451	19686
ვალდებულებების პერსონალის წინაშე		-
გადასახდელი დივიდენდი	-	-
	16885	30337
მთლიანი ვალდებულებები	16885	30337
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	447426	466501

ხელმოწერი პირები:

გულივერ კუნჭულია - დირექტორი

მოგება - ზარალის ანგარიშგება - ფორმა N2	
	12/31/2018
ამონაგები	2328506
თვითღირებულება	(850280)
საერთო მოგება	1478226
სხვა შემოსავლები	
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(81999)
მიწოდების დანახარჯები	
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	
სავალუტო ოპერაციებიდან:	
ხელფასი	(1269349)
ცვეტა - ამორტიზაცია	(24761)
საოპერაციო მოგება	102117
ფინანსური შემოსავალი - საპროცენტო	-
ფინანსური ხარჯი	
ფინანსური ხარჯი - წმინდა	-
მოგება დაბეგვრამდე	102117
მოგების გადასახადი	(16161)
წმინდა მოგება	85956
სხვა სრული შემოსავალი:	
შემოსულობა მიწისა და შენობების	
გადაფასებიდან,	
გადასახადების გამოკლებით	-
მთლიანი სრული შემოსავალი	85956

ხელმომწერი პირები:

გულივერ კუნჭულია - დირექტორი

27 სექტემბერი, 2019 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-12 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

1. შპს „გონიო 2003“ ს/კ 236034858 - ფინანსური ანგარიშგება 2018 წ

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა	12/31/2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	145300
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5438)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	139862
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	113743
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	253605

ხელმოწერი პირები:

გულიერ კონსულა დირექტორი

27 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-12 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

1. შპს „გონიო 2003“ ს/კ 236034858 - ფინანსური ანგარიშგება 2018 წ

კაპიტალში ცვლილებების ანალიზი - ფორმა N4

	რეზერვები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	5753	147550	-	-
წმინდა მოგება	-	-	85956	85956
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
პერიოდის სრული შემ.	-	-	85956	85956
გაცემული დივიდენდი	-	-	(91579)	(91579)
2018 წლის 31 დეკემბერი	5753	147550	277238	430541

ხელმოწერი პირები:

გულივერ კუნჭულია - დირექტორი

27 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-12 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

1 შესავალი

1- კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „გონიო 2003 „ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში 2003 წლის 07 თებერვალს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, მის მფლობელებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები

- , გულივერ კუნჭულია 33% წილის მფლობელი
- , ირაკლი ტყეშელაშვილი 20%წილის მფლობელი
- მამუკა ტყეშელაშვილი 17%წილის მფლობელი
- გიორგი ტყეშელაშვილი 20%წილის მფლობელი
-

საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი - გულივერ კუნჭულია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, მცხეთა. აღმაშენებლის 99.

2- წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. 2018 წ. კომპანიას არ უწარმოებია ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

3- კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

1) მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4- მომზადების საფუძვლები

"წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ

ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებაშედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის - ფორმა N1
- 2018 წლის ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ - ფორმა N2
- 2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება - ფორმა N3
- 2018 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება - ფორმა N4
- შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს, სს ფასზე გადასვლის შემდგომ არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში, აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა. აქედან გამომდინარე მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღისათვის კორექტირების თანხები გაუნაწილებელ მოგებაში ან საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში აღიარებას არ დაექვემდებარა

5- ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

2) ანგარიშგება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ + შენიშვნები

6- ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში. უცხოურ ვალუტაში 20018 წელს კომპანიას არ ქონია ფულადი ნაკადები.

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-18	31-დეკ-17
თანხა ბანკში	253188,49	112454,98
თანხა სალაროში	417	1288,14
ვალდებულება ნაგარიშვალდებულ პირზე	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	253605,49	113743,12

7- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი შეიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.,

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო მოთხოვნები	34289,39	235003,13
გაცემული ავანსები	9260,27	1081,37
სხვა მოთხოვნები		

1. შპს „გონიო 2003“ ს/კ 236034858 - ფინანსური ანგარიშგება 2018 წ

თანხები დაკავშირებული მხარეებისაგან

1081,37 გამოკლებული გაუფასურების ანარიცხები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	43549,66	236084,5
----------------------------	----------	----------

8- სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე. კომპანიის პოლიტიკაა მარაგების მაქსიმალური მინიმიზაციის გზით ზედნადები ხარჯებს შემცირება. სასაქონლო მატერიალური მარაგების შესყიდვა ხდება მხოლოდ დანიშნულებისამებრ, კონკრეტული პროექტისათვის.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა და მომსახურება, ასევე შრომის ანაზღაურება, რომელიც განკუთვნილია გასაყიდი პროდუქციის შესაქმნელად (საპროექტო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით) მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად აღიარდება, როგორც დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც ხარჯად ჩამოიწერება შესრულებული სამუშაოებზე გამოწერილი და დამკვეთთან წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ამსახველი ფორმა 2-ის მიხედვით,

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღიარდება საშუალო შეწონილი მეთოდით

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-18	31-დეკ-17
ძირითადი მასალები	9577	7885
დამხმარე მასალები	6728	5842
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	13040	9769
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	29345	23496

9- ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღიარდება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

1. შპს „გონიო 2003“ ს/კ 236034858 - ფინანსური ანგარიშგება 2018 წ

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მანქანა დანადგარები	10
კომპიუტერული აღჭურვილობა	5
საოფისე აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა და ინვენტარი	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების გაუფასურების ნიშნები საანგარიშო პერიოდისთვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა.

მრავალწლოვანი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია მიეკუთვნება სხვა მიმდინარე აქტივებს

10- არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია დამოკიდებულია ლიცენზიების ვადაზე და ჩამოიწერება წრფივი მეთოდით.

11- ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

	31-დეკ-18	31-დეკ-17
გასაცემი ხელფასი	0	-
სულ	0	-

გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

12- საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები	2018	2017
საშემოსავლო გადასახადი	0	0
დღგ	2451	19686

ქონების გადასახადი

სულ	2451	19686
-----	------	-------

- მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ე.წ „ესტონური მოდელით“. რის თანახმადაც მოგების გადასახადით დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს არა მოგება, არამედ გაცემული დივიდენდები და მასტან გატანაბრებული განაცემი, ასევე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას

13- სავაჭრო ვალდებულებების - გამოუმუშავებელი შემოსავალი / მიღებული ავანსი

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018წ	2017წ
სავაჭრო ვალდებულებები	14434	10651
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი		
მიღებული ავანსები	0	-
სულ	14434	10651

დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კონკრეტულ სახელშეკრულებო შემთხვევისას ხდება ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების წინდაწინ გადახდა თვის დასაწყისში, რომელის აუცილებლად იხურება თვის ბოლოს, გამოიწერება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი და იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით სსკ-ის შესაბამისად.

- სავაჭრო ვალდებულებებს და მიღებულ ავანსებს არ ერიცხებათ პროცენტი

14- საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება წლების განმავლობაში (2003წ-2018წ) დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისა და საწესდებო კაპიტალისგან; თავის მხრივ საწესდებო კაპიტალს შეადგენს დამფუძნებელი ფიზიკური პირების შემონატანი.

საწესდებო კაპიტალი	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
	ლარი	ლარი
საწესდებო კაპიტალი	-	147550
სულ	-	147550

2) ანგარიშგება კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ + შენიშვნები

- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება ფორმა N 2 წარმოდგენილია მსს ფასს-ის მიხედვით. მასში შემოსავლები და ხარჯები და მოგება-ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით. საოპერაციო შემოსავლები და გაწეული მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია აგრეგირებული სახით, ხოლო ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები მუხლობრივად, ეკონომიკური შინაარსის მიხედვით
- საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზა წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასტან გატანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადაახადები და განაცემები, რომლებიც აგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- საგადასახადო მიზნისათვის მოგების გადასახადსა და სააღრიცხვო მოგებიდან მოგების გადაახადის ტარიფით გამოთვლილი მოგების გადაახადის სხვაობა მსს ფასს-ის მიხედვით უნდა აისახოს საგადასახადო აქტივის ან გადავადებული გადაახადის სახით, მაგრამ მეორეს მხრივ ასეთი სხვაობა გამოწვეულია არა შემოსავებისა და ხარჯების ღირებულების დროებითი სხვაობებით არამედ დაბეგვრის ბაზის ფორმირების არსებითი სხვადასხვაობით. ამასთან აღნიშნული გაურკვევლობა რამე ნორმატიული აქტით არ რეგულირდება.

1. შპს „გონიო 2003“ ს/კ 236034858 - ფინანსური ანგარიშგება 2018 წ

- აღნიშნულის გათვალისწინებით მსს ფასს-ი მე-3 განყოფილების (პ. 3.4 – 3.7) საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება - სხვაობა საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი მოგების გადასახადისა და საანგარიშო მოგების გადასახადს შორის არ აისახოს საგადახადო აქტივის სახით

შენიშვნა _ 17

შემოსავალი პროდუქციის გაყიდვიდან

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად სამუშაოების შესრულება(საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა), რომლის რეალიზაციის პერიოდად ითვლება შეესრულებულ სამუშაოზე დამკვეთთან წარდგენილი სამუშაოს ამსახველი ფორმა-2 ის და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენა და დამკვეთის მხარის მიერ დადასტურება, თანახმად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა. მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, რეალიზაციის პერიოდად ითვლება თვე.

შენიშვნა _ 18

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა და მომსახურება, ასევე შრომის ანაზღაურება, რომელიც განკუთვნილია გასაყიდი პროდუქციის შესაქმნელად, მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად აღიარდება, როგორც დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც ხარჯად ჩამოიწერება შესრულებული სამუშაოებზე გამოწერილი და დამკვეთთან წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ამსახველი ფორმა 2-ის მიხედვით,

საქონლის გაყიდვებთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მასალის და მომსახურების ხარჯი იანგარიშება მომსახურების გაწევაზე ფაქტიურად გახარჯული მასალის და მომსახურების მიხედვით

3) ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის (ფულადი ნაკადების) შესახებ

- ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N3 -ის მიხედვით

- ანგარიშგება ფულადი ნაკადები შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, და ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებსა და ხარჯებს შორის სხვაობის სახით სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასავლებს

- საოპერაციო საქმიანობიდან
- საინვესტიციო საქმიანობიდან

1. შპს „გონიო 2003“ ს/კ 236034858 - ფინანსური ანგარიშგება 2018 წ

- საფინანსო საქმიანობიდან
- მსს ფასს-ის შესაბამისად კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრებში დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, საბიუჯეტო გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, სხვა საოპერაციო ხარჯები
- ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია ძირითად საშუალებები ინვესტირების ხარჯები.

4) ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

- ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N4 -ის მიხედვით
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება.

ხელმოწერი პირები:

გულივერ კუნჭულია - დირექტორი

27 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო